25 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 49–ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის.

საქართველოს გუნდები ამ ტურში სტუმრად თამაშობდნენ. თბილისის დინამოელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფთჩის“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები – ერევანში „არარატს“.

ბაქოს „ნეფთჩისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი ტურის ცენტრალური თამაში იყო. ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფშია - „დინამო“ მეორე ადგილზე, ხოლო „ნეფთჩი“ - მესამეზე.

ლიდერთა ეს შეხვედრა უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. ორივე გუნდმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღო, თავდამსხმელები და ნახევარმცველები აქტიურად, სწრაფად თამაშობდნენ. რომელიმე მხარეს მკვეთრად გამოკვეთილი უპირატესობა არ ჰქონია, მაგრამ „ნეფთჩის“ ყველაზე სახიფათო თავდამსხმელები აჰმედოვი და პონომარიოვი, აგრეთვე, თბილისელები გუცაევი და გაზაევი სისტემატურად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ გუცაევის მეტად ეფექტურ სასარგებლო თამაშს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იგი მხოლოდ ამ მატჩში დაუბრუნდა თავისი გუნდის საბრძოლო შემადგენლობას და გაზაევთან წყვილში ყველაზე სახიფათო იყო ბაქოელთა დაცვისთვის. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი ბაქოს „ნეფთჩისთან“ ვლადიმერ გუცაევისთვის მესამასე იყო საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში. საიუბილეო შეხვედრა მან ღირსეულად ჩაატარა.

მიმდინარეობდა შეხვედრის 27-ე წუთი, როცა ერთ–ერთი გარღვევის დროს გუცაევი უხეშად წააქციეს, მან თვითონვე მიაწოდა ბურთი კარის წინ.. აქ გაზაევმა ძალზე ზუსტად ითამაშა და თავით გააგზავნა ბურთი ბადეში – 1:0.

საპასუხო გოლის გატანა ბაქოელებმა ათიოდე წუთის შემდეგ შეძლეს აჰმედოვისა და სულეიმანოვის სწრაფი კომბინაციის შემდეგ. ტაიმის ბოლო, 45-ე წუთზე კი დინამოელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს ჯავადოვი, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა პონომარიოვმა – 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები ბევრს უტევდნენ, კვლავ აგრესიულად თამაშობდნენ გუცაევი და გაზაევი და მეორე გოლიც სწორედ მათი შეთანხმებული ურთიერთმოქმედების შედეგი იყო: გუცაევმა მარჯვენა ფლანგიდან მიაწოდა ბურთი და გაზაევმა კვლავ თავით გაიტანა გოლი. 2:2 – ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს მეტად საინტერესო თამაში.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „ნეფთჩი“ – ჟიდკოვი, ალაჰვერდიევი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, ფედოროვსკი, სულეიმანოვი, ვახაბზადე, პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი; „დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჭედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჩელებაძე), გაზაევი (მიქაბერიძე), გოგრიჭიანი. მსაჯი კ.

დორონინი (მოსკოვი). სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი მოიგეს დინამოელებმა – 3:0. 2 ბურთი გაიტანა ჟორდანიამ, ერთი – ბაკურაძემ.

ლელო 27.05.1986